# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

*სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 62*

(CPV 18420000 ტანსაცმლის აქსესუარები )

თბილისი 01 დეკემბერი, 2016 წ.

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე დამტკიცებული 2011 წლის 07 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე.

ერთის მხრივ - **სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ამირან თოიძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ - **ი/მ რუსუდან ფიფიას** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი*

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, საწარმოდგენო ტანსაცმლის აქსესუარების შესყიდვა, კერძოდ 1 ერთეული ქამარი (ერთ. ღირ. 120.00 ლ) და 1 ერთეული ლეკვერთხის (ერთ. ღირებულება 50 ლ.) შესყიდვა საკუთარი შემოსავლებით, (შემდგომში - საქონელი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

## *მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი*

2.1 ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს - 170.00 ლარს.

2.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ საქონლის ფაქტიური მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის რეკვიზიტებზე.

## *მუხლი 3. საქონლის შესაბამისობა*

3.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად შესასყიდი საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

## *მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განახორციელოს 01.12.16 წ - 05.12.16 წ. ვადებში;

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიწოდების ვადები განსაზღვროს მიმწოდებელთან შეთანხმებით;

*ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება, ამ* ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

## *მუხლი 5. ფორს-მაჟორი*

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი,

გადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის ორმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ და რომლის წინასწარ განსაზღვრა, თავიდან აცილება, მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა (ფორს-მაჟორი).

5.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში. ამის შემდეგ შეიძლება განხილულ იქნას მხარისათვის ვალდებულების შესასრულებლად გახანგრძლივებული ვადის მინიჭების შესაძლებლობა.

## *მუხლი 6. პასუხისმგებლობა*

6.1. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს მას ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 1%, არაუგვიანეს 10 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

## *მუხლი 7. სხვა პირობები*

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

7.3. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მიწოდების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## *მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები*

შემსყიდველი:

სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქალაქი რუსთავი, XII მკრ-ნი, საიდენტიფიკაციო კოდი 216297433.

ხელმოწერა _____ ამირან თოიძე

მიმწოდებელი:

ი/მ რუსუდან ფიფია ს/კ 62011000057; მის: თბილისი, ლ. ასათიანის ქ. № 66; სს. „ თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE65TB7610245161600003

ხელმოწერა _____ რუსუდან ფიფია

# მიღება-ჩაბარების
# აქტი

*თბილისი* *02/12, 2016წ*

ჩვენ, ამ დოკუმენტზე ხელისმომწერნი,

ერთის მხრივ - **სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან თოიძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ **ი/მ რუსუდან ფიფიას** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), გაფორმებული „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ №62 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, შემსყიდველმა მიმწოდებლისაგან მიიღო: ტანსაცმლის აქსესუარები, კერძოდ 1 ერთეული ქამარი (ერთ. ღირ. 120.00 ლ) და 1 ერთეული ლეკვერთხი (ერთ. ღირებულება 50 ლ.), ჯამური ღირებულებით 170.00 ლარი.

*შემსყიდველი* *მიმწოდებელი*

_____ _____

*/ამირან თოიძე/* */რუსუდან ფიფია/*